

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტი



2020
წლის ანგარიში
(რეჟისორის ანგარიში)



სარჩევი

შესავალი -----	3
ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე-----	4
საგანმანათლებლო პროგრამები -----	6
ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა -----	6
პერსონალის პროფესიული განვითარება -----	7
კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები -----	9
ხარისხის უზრუნველყოფა -----	9
შემოქმედებითი მუშაობა -----	9
კვლევითი მუშაობა და საგამომცემლო საქმიანობა -----	10
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა -----	12
დანართი 1 -----	13



შესავალი

1995 წლის 29 სექტემბერს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმში ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი დაარსდა. რამდენიმე წელიწადში ხელოვნების ინსტიტუტი იქცა წამყვან სახელოვნებო საგანმანათლებლო ცენტრად. ხელოვნების ინსტიტუტში 3 ფაკულტეტი და 9 კათედრა არსებობდა. 1996 წელს ხელოვნების ინსტიტუტთან გაიხსნა საბალეტო სტუდია ორი ასაკობრივი ჯგუფისათვის. 1999 წელს საბალეტო სტუდია გამოეყო ხელოვნების ინსტიტუტს საბალეტო სკოლა-სასწავლებლის სტატუსით. 1998 წელს ხელოვნების ინსტიტუტის მუსიკალურ დისციპლინათა ფაკულტეტის ბაზაზე გაიხსნა ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო, სახელოვნებო და ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის №137 დადგენილებით, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი და ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორია გაერთიანდა ახლადდაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ხელოვნების ფაკულტეტის სტატუსით.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აგვისტოს №146 დადგენილებით სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა სსიპ-ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტი, რომელსაც საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 ოქტომბრის №180 დადგენილებით ეწოდა სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში არის ერთადერთი უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ერთდროულად ახორციელებს სწავლებას ხელოვნების ოთხი დარგის მიმართულებით: თეატრი, კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნება. უნივერსიტეტში სწავლება ორსაფეხურიანია: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა. დარგობრივი მიმართულებების მიხედვით ჩამოყალიბებულია სამი ფაკულტეტი: სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების; მუსიკის; განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნებისა და მუსიკის ფაკულტეტები სწავლებას ახორციელებენ სახელოვნებო მიმართულების სამეცნიერო და თეორიულ პროგრამებზე, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - შესაბამისი მიმართულების თეორიულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებელ (60 კრედიტიან) პროგრამაზე.

უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე 385 სტუდენტი სწავლობს, სასწავლო და კვლევით პროცესში ჩართულია 39 აკადემიური პირი, 103 მოწვეული სპეციალისტი, 112 ადმინისტრაციული პირი.

ხელოვნების უნივერსიტეტი ემსახურება სახელოვნებო დარგის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეს, ხელს უწყობს ხელოვნებისა და კულტურის მიმართულებით სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი პროცესების განვითარებას.

უნივერსიტეტი განთავსებულია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ისტორიულ შენობაში, რომელშიც შექმნილია სახელოვნებო პროგრამების მოთხოვნებზე მორგებული მოდერნიზებული თანამედროვე სასწავლო გარემო.

უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს რეგიონის კულტურულ ცხოვრებაში, ჩართულია რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტებში. მჭიდრო ურთიერთობა აქვს ქვეყნის სახელოვნებო პროფილის წამყვან უმაღლეს დაწესებულებებთან, თანამშრომლობს კულტურის მიმართულების უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო თუ შემოქმედებით ორგანიზაციებთან. უნივერსიტეტი წარმოადგენს კულტურისა და ხელოვნების მიმართულების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების დამფუძნებელს რეგიონში. უნივერსიტეტის პერსონალი მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შემოქმედებით, სამეცნიერო ღონისძიებებში. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები გამოირჩევიან დასაქმების მაღალი მაჩვენებლითა და კვალიფიციურობით.



ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე

2020 წელს მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა განათლების ხარისხის ცენტრში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად. ბხსუ-ს რექტორის 2019 წლის 24 დეკემბრის №01-08/02 ბრძანების „ბხსუ-ს ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის მოსამზადებელი ჯგუფის შექმნის შესახებ“ საფუძველზე შეიქმნა ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ბხსუ-ს ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელითა და სხვა პასუხისმგებელი პირებით. სამუშაო ჯგუფის წევრებს, კომპეტენციებისა და უფლებამოსილების შესაბამისად დაევალებათ რეკომენდაციების გათვალისწინების მექანიზმების შემუშავება. რექტორის 24 ივლისის №01-08/33 ბრძანების - „ბხსუ-ს შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის მომზადების მიზნით, შესასრულებელი სამუშაოს პასუხისმგებელი პირებისა და შესრულების ვადების განსაზღვრის შესახებ“ - საფუძველზე განისაზღვრა რეკომენდაციების შესრულების კონკრეტული ამოცანები და ვადები, ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაეწესა ბხსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოების ეტაპობრივ მონიტორინგს ახორციელებდა ბხსუ-ს რექტორი. ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე, ანგარიშის მოსამზადებელი ჯგუფის წევრები, ფაკულტეტები და დეპარტამენტები მონაწილეობდნენ 2020-2022 სამწლიან გეგმის შემუშავებაში, რომლის საბოლოო ვერსია ჩამოაყალიბა სამწლიანი სამოქმედო გეგმის სარედაქციო ჯგუფმა (რექტორის ბრძანება №01-08/37.17.08.2020). ექსპერტთა რეკომენდაციებისა და სტრატეგიული გეგმის გათვალისწინებით შემუშავდა 2020-2022 წლების უფრო კონკრეტული, მიღწევადი, რეალისტური და მიზნობრივი გეგმა, რომელიც თავის მხრივ დაეფუძნა 2019-2025 წლების სტრატეგიულ, 2019-2021 წლების სამწლიან და ერთწლიან 2020 წლის სამოქმედო გეგმებს.

მუშაობის ამ პერიოდს დაემთხვა რთული ვითარება, რომელიც გამოწვეული იყო ახალი კოვიდ-19 ვირუსის გავრცელებით. ბხსუ დადგა ახალი გამოწვევების წინაშე. გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში მთელი ძალისხმევა გადატანილი იყო სასწავლო პროცესის დისტანციურად განხორციელებაზე სახელოვნებო დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით, რამაც გარკვეული სირთულე შეუქმნა ადმინისტრაციულ, აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს. თუმცა ივლის-აგვისტოში დაშვებული საუნივერსიტეტო-სააუდიტორიო სამუშაო რეჟიმის აღდგენის შედეგად, შესაძლებელი გახდა სასწავლო პროგრამების საშემსრულებლო მიმართულების სასწავლო კურსების პრაქტიკული კომპონენტის დასრულება, სწავლის შედეგების მიღწევა. ანგარიშის შედგენის პროცესზე მუშაობა, ძირითადად, მიმდინარეობდა ონლაინ ფორმატში. მხოლოდ ივლის-აგვისტოში გახდა შესაძლებელი საუნივერსიტეტო კომუნიკაციის პირობებში, სამუშაო ჯგუფების საქმიანობის განახლება. თუმცა მალევე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კოვიდ-სიტუაციის გამწვავების გამო, 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის თებერვლის ჩათვლით, ბხსუ ისევ გადავიდა დისტანციური მუშაობის პრინციპებზე.

მთელი წლის განმავლობაში არსებული რთული სიტუაციის პირობებში უნივერსიტეტის ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო და არის თეორიული და სახელოვნებო სპეციფიკის მქონე საგანმანათლებლო პროგრამების დისტანციურად განხორციელების ფორმების, მეთოდების შერჩევასა და სასწავლო კურსებით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე. ამ პერიოდის განმავლობაში ბხსუ მუდმივად ახდენს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირებას ელექტრონულ სწავლებასთან და სწავლასთან დაკავშირებული ინსტრუქციებითა და ტექნიკური მითითებებით. საშემსრულებლო მიმართულების პროგრამებში სამუსიკო შემსრულებლობა, სამსახიობო ხელოვნება, დიზაინი, არქიტექტურა, კინო-ტელერეჟისურა, საჭირო გახდა კორექტირების შეტანა, კერძოდ, სახელოვნებო პროფილის პატრნიორი უნივერსიტეტების მიდგომების გათვალისწინებით, პირველ ეტაპზე, ძირითადად, ჩატარდა თეორიული მეცადინეობები. თითოეული აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურადაა ჩართული ტრენინგების ციკლში, რომელიც გათვალისწინებულია დისტანციური კომუნიკაციისთვის ინტერნეტ რესურსების ეფექტურად გამოყენების დასაუფლებლად. მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, სამუშაო ჯგუფის წევრები ახორციელებდნენ ინტენსიურ მუშაობას ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. მუშაობის პერიოდში, რეკომენდაციების გაანალიზებისა და ინფორმაციების გადამუშავების შედეგად,



საჭიროების შემთხვევაში მომზადდა მარეგულირებელი დოკუმენტები და ცვლილებები შეტანილ იქნა არსებულ ნორმატიულ აქტებში.

2020 წლის სამუშაო პროცესი წარიმართა სტრატეგიული გეგმის მიზნების, ამოცანების გამოკვეთილი პრიორიტეტების შესაბამისად. ჩატარებული სამუშაოების შედეგად ნაწილობრივ განახლდა და დაკონკრეტდა პრიორიტეტული მიზნების ამოცანები, თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ დასახული აქტივობები, შენიშვნები, გამოიკვეთა პანდემიით გამოწვეული ხელისშემშლელი ფაქტორები, რამაც განაპირობა აქტივობების შესრულების ვადების კორექტირება. გამომდინარე დღევანდელი ვითარებიდან, თითოეული აქტივობის შესრულების ვადები გააზრებულ იქნა არსებულ რეალობასთან კონტექსტში. დაკონკრეტდა პროფესიული მომზადების მიზნობრივი გეგმები, პლაგარიზმის ცნობიერების ამაღლების, კელევიტი განვითარების სტრატეგიის, ინგლისური ენის სწავლების გაუმჯობესების, პერსონალის ვალდებულებების ამოცანები. სამწლიან გეგმაში პრიორიტეტებად გამოიკვეთა კონკრეტული მიმართულების პროგრამების განვითარებაზე მუშაობა, ბაზრის კვლევა და ახალი პროგრამების შემუშავება, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება, რომლის კონკრეტული ამოცანები და კადრების მომზადების გეგმა დეტალურად იქნა ასახული ბხსუ-ს სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებათა გეგმაში ცვლილებების შეტანით. შემუშავდა დოკუმენტები და ნორმატიული აქტები, რომლებიც განათლების ხარისხის ცენტრში წარდგენილი ანგარიშის შედეგად, ცნობად იქნა მიღებული (დოკუმენტები განთავსებულია ბხსუ-ს ვებგვერდზე www.batu.edu.ge).

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით № 42. 02.12..2019 სსიპ- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ 245628496) 6 წლის ვადით მინიჭებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 900 სტუდენტით.

1. საგანმანათლებლო პროგრამები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით № 42. 02.12..2019

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭა უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

1. დიზაინი (ტექსტილის დიზაინი, სამოსის დიზაინი). (კვალიფიკაცია: დიზაინის ბაკალავრი);
2. არქიტექტურა (არქიტექტურის ბაკალავრი);
3. ფერწერა (სახვითი ხელოვნების ბაკალავრი);
4. სამსახიობო ხელოვნება (თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი);
5. აუდიოვიზუალური ხელოვნება (კინორეჟისურა, ტელერეჟისურა) (აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი);
6. სამოსის დიზაინი (დიზაინის მაგისტრი);
7. საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება (დრამის რეჟისურა; თოჯინების თეატრის რეჟისურა) (თეატრალური ხელოვნების მაგისტრი);
8. აუდიოვიზუალური ხელოვნება (მხატვრული კინოს რეჟისურა) (აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი);
9. ხელოვნებათმცოდნეობა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი);
10. ტელე-რადიო ჟურნალისტიკა, კვალიფიკაცია (მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი);
11. კულტურის მენეჯმენტი (მენეჯმენტის ბაკალავრი);
12. კულტურული ტურიზმი (ტურიზმის ბაკალავრი);
13. ხელოვნების მენეჯმენტი (ხელოვნების მენეჯმენტის მაგისტრი);
14. ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა) - ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი;
15. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი (კვალიფიკაცია არ ენიჭება);
16. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (კვალიფიკაცია არ ენიჭება);



17. სამუსიკო შემსრულებლობა (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, საორკესტრო) (სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი);

18. სამუსიკო შემსრულებლობა (კლავიშებიანი საკრავები, აკადემიური სიმღერა, საორკესტრო) (სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი).

2020 წელს რეაკრედიტებულია:

ქართული ენის მომზადების პროგრამა;

ბაზრის კვლევის საფუძველზე შემუშავდა და აკრედიტაციაზე წარსადგენად მზად არის მუსიკის მასწავლებლის 60 კრედიტიანი დამოუკიდებელი პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია საჯარო სკოლების მუსიკის მასწავლებელთათვის უფრო მაღალი სტატუსის მოსაპოვებლად.

ბაზრის კვლევის მოთხოვნების მიხედვით, უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე შემუშავებულია 60 კრედიტიანი და მოკლევადიანი პროგრამები და სასწავლო კურსები/ბლოკები.

პროგრამები:

- კულტურის მენეჯმენტი;
- თოჯინების თეატრის სამსახიობო;
- დრამის სამსახიობო;
- ტექსტილის დიზაინი, სამოსის დიზაინი;
- ხელოვნებათმცოდნეობა;
- ქორეოგრაფია-სადადგმო ხელოვნება;
- მუზეუმის მენეჯმენტი;
- მუზეუმის თანამედროვე ტექნოლოგიები;
- კულტურული ტურიზმის გიდი.
- უცხო ენის (ინგლისური) სწავლების პროგრამა.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- „ინტერიერის დიზაინი“.

სასწავლო კურსები/ბლოკები:

- საბიბლიოთეკო საქმე;
- ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების საფუძვლები;
- მინანქარი;
- ბატიკი;
- ხელოვნების მასწავლებელი;
- სამუზეუმო და საარქივო საქმე;
- საექსკურსიო საქმე;
- საორკესტრო საკრავები.

2. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

ბხსუ-ს მართვის ორგანოების საქმიანობას აწესრიგებს უნივერსიტეტის წესდება, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სამართლებრივ-ნორმატიული აქტები.

ბხსუ-ს ძირითად საგანმანათლებლო საქმიანობას უზრუნველყოფენ სტრუქტურული ერთეულები - ფაკულტეტები და დარგობრივი დეპარტამენტები.

ბხსუ-ს მართვაში და სასწავლო პროცესების ადმინისტრირებაში გამოყენებულია თანამედროვე ტექნოლოგიები - ბხსუ-ს სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა, ელექტრონული საქმისწარმოება.

ბხსუ-ს გააჩნია განახლებული კომპიუტერული ტექნიკის ბაზა, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, უზრუნველყოფილია ინტერნეტით შეუზღუდავი სარგებლობა, საქმის წარმოების ელექტრონული სერვისი.

✓ ნორმატიული ბაზის სრულყოფა:

ავტორიზაციის ანგარიშის მომზადების პროცესში შემუშავდა შემდეგი დოკუმენტები:



1. რექტორის ბრძანება №01-08/02 (24.12.2019) „ბხსუ-ს ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის მოსამზადებელი ჯგუფის შექმნის შესახებ“
2. რექტორის ბრძანება №01-08/33 (24.07.2020) „ბხსუ-ს შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის მომზადების მიზნით შესასრულებელი სამუშაოს პასუხისმგებელი პირებისა და შესრულების ვადების განსაზღვრის შესახებ“;
3. რექტორის ბრძანება №01-08/37 (17.08.2020) „სამოქმედო გეგმის (2020-2022) სარედაქციო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
4. 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმა (წარმ. საბჭოს №05-01/01 გადაწყვეტილება.);
5. ცვლილებები სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებათა გეგმაში (დანართი: წარმ. საბჭოს გადაწყვეტილება № 05-01/01. 13. 11.2020)
6. პლაგიატის პრევენციისა და რეაგირების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ (წარმ. საბჭოს გადაწყვეტილება № 05-01/02. 31.07.2020)
7. სასწავლო პროცესების მარეგულირებელ წესში ცვლილებების შეტანის შესახებ (აკად.საბჭოს დადგენილება № 04-01/17);
8. ბხსუ ეთიკის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ (წარმ. საბჭოს გადაწყვეტილება № 05-01/01)
9. ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება № 05-01/03.13.11.2020. არასააუდიტორიო დატვირთვების ზღვრული ოდენობის შესახებ;
10. ბხსუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება № № 05-01/02 აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ;
11. სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N 05-01/05. 13.11.2020).
12. ცვლილებები აკად. პერსონალის არჩევის ღია კონკურსის გამოცხადების წესში (წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N 05-01/04. 13.11.2020).
13. კვლევითი განვითარების სტრატეგია (აკად. საბჭოს დადგენილება №04-01/14. 13. 11.20)
აგრეთვე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე შემუშავდა ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი.

3. პერსონალის პროფესიული განვითარება

ბხსუ თანამედროვე გამოწვევების, პერსონალის მართვის პოლიტიკის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების, ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული გამოკითხვების, დეპარტამენტებისა და ფაკულტეტების, ადმინისტრაციული სამსახურების წინადადებების საფუძველზე ახდენს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას, გამოავლენს პერსონალის საქმიანობის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ადგენს კონკრეტულ გეგმას აკადემიური/მოწვეული პერსონალის პედაგოგიური უნარების, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის.

2020 წელს, რეკომენდაციების გათვალისწინებით, ჩატარდა სააუდიტორიო და დისტანციური შეხვედრები და ტრენინგები ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული სამსახურის, სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების, იურიდიული, საფინანსო და საინფორმაციო მენეჯმენტის სამსახურის წარმომადგენელთა და სხვ. მიერ. 2019-2020წწ-ში განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი შეიძინა ონლაინ ტრენინგებმა დისტანციური სწავლების ფორმებისა და მეთოდების, ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების საკითხების შესახებ.

ბხსუ-ში აკადემიური პერსონალის შერჩევის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს კონკურსები. მიმდინარე წელს, აკადემიური პერსონალის მიღების წესების შესაბამისად, ჩატარდა ადამიური პერსონალისა და კონცერტმასტერთა კადრების შესარჩევი კონკურსები. ბხსუ-ს გააზრებული აქვს, რომ თობათა ცვლის, პერსონალის განახლების, პედაგოგიური გამოცდილების გაზიარების, ახალი იდეებისა და შესაძლებლობების გარეშე ვერ განვითარდება. ითვალისწინებს იმასაც, რომ სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლები უფრო მეტად არიან ორიენტირებული შემოქმედებითი თვითრეალიზებისაკენ, ვიდრე სახელოვნებო პედაგოგიური საქმიანობისკენ. აქედან გამომდინარე ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოვნების საუნივერსიტეტო სივრცეში შემოსაყვანად ბხსუ მიმართავს სხვადასხვა მექანიზმებს, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდა სპეციალისტების პედაგოგიური უნარების გამოვლენას და სწავლა-სწავლების გამოცდილების გაზიარებას.



2020 წელს ახალგაზრდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოზიდვის მხრივ დადასტურდა მზარდი სტატისტიკა.

✓ **ტრენინგები**

ა) ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, პლაგიატიზმის პრობლემის უკეთ გააზრების მიზნით, 2020 წლის ივნისში სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები პლაგიატიზმის თემაზე. ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით, შეხვედრებზე მოხდა სტუდენტთა ინფორმირება პლაგიატის სახეების, კატეგორიების, მისი აღმოჩენის მექანიზმების, აღმოფხვრის გასატარებელი ღონისძიებების, სანქციების, აკადემიური ეთიკის არსის შესახებ.

ბ) სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების, ფაკულტეტების მიერ მომზადდა ტრენინგების გეგმა 2021 წლისათვის (იხ. ტრენინგების გეგმა; ცვლილებები ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებათა გეგმაში. ბსსუ ვებგვერდი).

გ) 2020 წლის იანვარი - ტრენინგი აკადემიური პერსონალისთვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ახალ სტანდარტებზე გადაყვანასთან დაკავშირებით;

დ) ტრენინგები ელექტრონული ჟურნალის ამოქმედებასთან დაკავშირებით;

ე) ტრენინგი E-flow პროგრამის მართვასთან დაკავშირებით;

ვ) ბიბლიოთეკის პერსონალის მონაწილეობა ტრენინგში საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან წვდომის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაძენად;

ზ) ტრენინგები დისტანციური სწავლების ფორმების დანერგვის, zoom - პლატფორმის, ონლაინ სასწავლო რესურსების გამოყენების მიმართულებით (2020 წლის მარტი-ნოემბერი)

✓ **აქტივობები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.**

✓ **Erasmus+**

საერთაშორისო პროექტი „უნივერსიტეტების როლი რეგიონალურ განვითარებაში“. პროექტის კოორდინატორია ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი. საქართველოს გარდა, პროექტში ჩართულია ავსტრიის, ჩეხეთის, ესპანეთის, ლიეტუვის უნივერსიტეტები. Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, ევროკომისიის განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს მიერ 2019 წელს გამოცხადებული კონკურსის შედეგად, საქართველოს თანამონაწილეობით დაფინანსდა 6 პროექტი, რომელშიც ჩართულია საქართველოს 17 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, 3 სახელმწიფო ორგანიზაცია და 2 არასამთავრობო ორგანიზაცია. პროექტის მიზანია, მხარი დაუჭიროს პარტნიორ ქვეყნებსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზაციის, ხელმისაწვდომობის, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ასევე ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. პანდემიის შედეგად პროექტით გათვალისწინებული აქტივობები გადატანილ იქნა 2021 წლისათვის.

✓ **ჯილდოები**

• მიმდინარე სასწავლო წლის დასასრულს წარმატებული და ნაყოფიერი შემოქმედებისათვის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოვდნენ ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ქვეყნის მასშტაბითა და მის ფარგლებს გარეთ მნიშვნელოვანი პროფესიული წარმატებებისა და ეროვნული კულტურის განვითარება-პოპულარიზაციაში პირადი წვლილის შეტანისათვის:

• ა) 2020 წლის წარმატებული ხელოვანის „დიდოსტატი“ ნომინაციაში უნივერსიტეტის პროფესორი მარიამ ჯახუტაშვილი;

• ბ) ნომინაციაში „რჩეული ხელოვანი“ ბსსუ-ს მოწვეული პედაგოგი ირინა ტორინჯაძე; გ) ნომინაციაში „ხელოვანი ბათუმისთვის“ არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე კურსის სტუდენტი იოსებ ჯორბენაძე.



• 2020 წლის „წინანდლის პრემიის“ ლაურეატის წოდება მიენიჭათ ბხსუ-ს კინო-ტელე ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტს მირიან ორაგველიძეს, თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს საბა ქარელის მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისათვის „მამის პორტრეტი ინტერიერში“.

• უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორს გიორგი გოგიბერიძეს (საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალის BIAFF დირექტორს) და მოწვეულ პედაგოგს ზვიად ელიზიანს (საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალის BIAFF მენეჯერს) გადაეცათ საქართველოს კინოაკადემიის სპეციალური პრიზი ქართული კინოს განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

4. კარიერული მზარდაჭერის ღონისძიებები

სტუდენტთა კარიერული სამსახური ახდენდა სტუდენტთა ინფორმირებას სოციალური, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. 20.05.2020 - „Transitions“ და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ტელე-რადიო ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის Zoom-ის აპლიკაციის პლატფორმაზე, შედგა ლექცია-დისკუსია თემაზე „ახალი ამბები და დეზინფორმაცია“. ტრენინგში მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ ონლაინ სერტიფიკატი.

5. ხარისხის უზრუნველყოფა

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები.

სამსახური თავის საქმიანობაში ითვალისწინებს ბოლონის პროცესის ფარგლებში ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და იუნესკოს ეგიდით, შესაბამისი პროფილის ევროპული ასოციაციებისა და ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო დოკუმენტებს.

სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით (დანართი 2).

6. შემოქმედებითი მუშაობა

1. 2020 წლის 6 – 17 თებერვალს ერაზმუსის პროგრამის ფარგლებში, აჭარის მაღალმთიან რეგიონში, განხორციელდა საერთაშორისო კინოპროექტი „TAFU – FIIS მარადიდის ზამთრის კინოსკოლა“ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის, პოლონეთის ლოდის ეროვნული კინოსკოლის (FIIS)-ის და ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტუტორთა და სტუდენტთა მონაწილეობით.

2. ბხსუ-ს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა მონაწილეობა მიიღეს „AMERICAN PROTEGE“ საერთაშორისო კონკურსის შესარჩევ ტურში (3-5.02.2020).

3. ხელოვნების უნივერსიტეტის რეჟისურის სპეციალობისა და სან-ფრანცისკოს ხელოვნების ინსტიტუტის რეჟისურის სპეციალობის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ერთობლივი საერთაშორისო კინოპროექტის პირველი ეტაპი განხორციელდა 2014 წელს „SKYPE“-ს საშუალებით, რომლის დროსაც შეიქმნა ერთობლივი ქართულ-ამერიკული სტუდენტური ფილმები. ამავე პროექტის ფარგლებში, 2020 წლის 13 მაისს შედგა პროექტის პრეზენტაცია „Screeningroom“-ის კინოდარბაზში „ინტერნეტ“ გვერდზე. ქრისტოფერ კოპოლასა და ზურაბ ქავთარაძის ხელმძღვანელობით განხორციელებული დისტანციური პროექტის სახელწოდებაა „დევეანდელი ისტორია“, რომელიც წარმოგვიდგენს „კოვიდ-19“-ის პანდემიით გამოწვეული ადამიანების ფსიქო-ფიზიკურ მდგომარეობას. პროექტში მონაწილეობა მიიღეს ზაზა ხალვაშის კინოსახელოსნოსა და სან ფრანცისკოს ხელოვნების უნივერსიტეტის კინოსკოლის სტუდენტებმა და პედაგოგებმა. გაიმართა ერთობლივად შექმნილი ფილმების ჩვენება. ამავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა კინო-ტელე ხელოვნების დეპარტამენტისა და სან-ფრანცისკოს ხელოვნების ინსტიტუტის მესამე პროექტი სახელწოდებით „პარალაქსი“, რომელიც ეხებოდა აშშ-სა და საქართველოს, კალიფორნიისა და შავი ზღვის ყურის ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობებს.



4. გაიმართა ირანელი ხელოვანების ფოტო და ფერწერული ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „უშველესი ირანი“ (17.02.2020).

5. მოეწყო ირანელი ხელოვანის ჰოსეინ სეიფის საჯარო ლექცია და ვორქშოფი თანამედროვე ფოტოგრაფიის ტექნიკურ შესაძლებლობებზე (18.02.2020)

6. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფოტო-ნახატების გამოფენა „ჩემი თვალთ დანახული ტოლერანტობა“ (16.11.2020). გამოფენა და ღონისძიება ჩატარდა ევროსაბჭოს ანტი-დისკრიმინაციული დეპარტამენტის DG-II-ის პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ ხელშეწყობით, კამპანიის „მე ვირჩევ თანასწორობას“ ფარგლებში ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ორგანიზებით. გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დიზაინისა და არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა.

7. პროექტი „ფორმა და სივრცე. სოციალურ-კულტურული უსაზღვროება“: 2020 წლის 5-7 ოქტომბერი. ბათუმის თანამედროვე ხელოვნების სივრცეში მოეწყო გამოფენა. პროექტის ორგანიზატორები არიან - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველოს კულტურის აკადემია, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, ხელოვნების ცენტრი „ფოლიანტი“. პროექტის თანამდგომი - საქართველოს პარლამენტის აპარატი. პროექტის პარტნიორები - ა(ა)იპ ინკლუზიური და ინტეგრირებული განათლება-თანადგომა, სსიპ ბათუმის 26-ე საჯარო სკოლის ინკლუზიური სწავლების ცენტრი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროექტი - საკვირაო სკოლა. დაფინანსება/მხარდაჭერა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. პროექტის მიზანი იყო სახვითი, სამუსიკო და სათეატრო შემოქმედების ინოვაციური მეთოდებით, ფორმებითა და საშუალებებით ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ურთიერთსაკომუნიკაციო პლატფორმის ინკლუზიური მოდელის (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ტიპური განვითარების ადამიანების ინტეგრირებული შემოქმედებითი სივრცის) შექმნა. პროექტში წარმოდგენილი იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების (მათ შორის მცირემხედველობისა და უსინათლოების), ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პედაგოგების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრები, ინსტალაციები. ამავე პროექტის ფარგლებში 27 ოქტომბერს გაიმართა გამოფენა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში.

7. კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობა

საერთაშორისო ფორუმები/სამეცნიერო კონფერენციები

ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი და სამეცნიერო კონფერენცია: 2020 წლის 5-7 ნოემბერს დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის მე-15 საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა კონფერენცია, რომლის მიზანი იყო ტრადიციული მუსიკალური კულტურის მიმართულელებით უახლესი კვლევების გაცნობა, პოზიციების გაცვლა, ქართული ტრადიციული კულტურის მკვლევრების უცხოელ კოლეგებთან ინტეგრირება. ქართული ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის პოპულარიზაცია უცხოეთის სამეცნიერო წრეებში. კონფერენციის მუშაობაში 25 მეცნიერი მონაწილეობდა საქართველოდან და უცხოეთიდან (საბერძნეთი, რუმინეთი, სერბეთი, თურქეთი, ლიეტუვა). წარმოდგენილი იყო 24 მოხსენება (ორი ავტორის ერთი საერთო მოხსენება). ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა ერთმანეთს გააცნეს უახლესი კვლევები მათი ქვეყნის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის სფეროში, გაცვალეს ინფორმაცია და დასახეს სამომავლო გეგმები. მოხსენებების ვიდეო-ვერსია პრეზენტაციებით განთავსდა ზემოთხსენებული ფესტივალის Facebook-გვერდზე. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, გამოიცა მოხსენებების კრებული ორ ენაზე (ქართულ-ინგლისური). ფესტივალისა და კონფერენციის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბსსუ-ს ვებგვერდზე.

სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია: 2020 წლის 20 ნოემბერს დისტანციური ფორმით, პლატფორმა ZOOM-ის გამოყენებით ჩატარდა ბსსუ-ს სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაზე



წარმოდგენილი იყო მიმართულებები: ხელოვნებათმცოდნეობა; თეატრმცოდნეობა; კინომცოდნეობა, მუსიკისმცოდნეობა, მედია. კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოსა და უცხოეთის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები. საქართველოდან კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო: საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. უცხოეთიდან: კიევის კულტურისა და ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტი, აზერბაიჯანის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, ყაზახეთის ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტი, ყაზახეთის ტ.ჟურგენოვის სახელობის ხელოვნების ეროვნული აკადემია, ყაზახეთის ს.სეიფულინის სახელობის აგროტექნიკური უნივერსიტეტი. კონფერენცია დაფინანსდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ პროგრამა „ორიენტირის“ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს კულტურისა და ხელოვნების სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას. დაიბეჭდა კონფერენციის პროგრამა და თეზისები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

საჯარო ლექცია

✓ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით უნივერსიტეტის რექტორმა, პროფ. მაია ჭიჭილეიშვილმა ჩაატარა ონლაინ ლექცია და დისკუსია თემაზე „კულტურა და ხელოვნება საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918-1921)“.

✓ ბულგარელი არქიტექტორის ბისერ კოზლევის საჯარო ლექცია თემაზე: "ბულგარული არქიტექტურა, თანამედროვეობა და ტრადიციები." ლექცია ეხებოდა ბულგარეთის ტრადიციული ურბანული და თანამედროვე არქიტექტურის, ისტორიული შენობების თანამედროვე რეკონსტრუქციისა და ფუნქციური ადაპტაციის საკითხებს.

სტაჟირება

2020 წლის თებერვალში სახვითი ხელოვნების, ხელოვნების ისტორიის, კინო-ტელე და სათეატრო ხელოვნების მიმართულების ბხსუ-ს შესაბამის დეპარტამენტებში სტაჟირება გაიარეს ყაზახეთის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო ეროვნული უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამების სტუდენტებმა.

კვლევით პროექტში მონაწილეობა

2019-2021 წწ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ ხორციელდება კვლევითი პროექტი „აჭარის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“, რომელიც დაფინანსდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. აღნიშნულ პროექტში ჩართულია ბხსუ-ს ეთნომუსიკოლოგი ლოლიტა სურმანიძე, რომელსაც აქვს კვლევით პროექტებში და ექსპედიციებში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილება საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით.

საგამომცემლო საქმიანობა:

სამეცნიერო ნაშრომების კრებული „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“

გამოიცა ბხსუ-ს სამეცნიერო ნაშრომების კრებულის - „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“ VIII ტომი. კრებულის თემატიკა მოიცავს კულტურისა და ხელოვნების საკითხთა ფართო სპექტრს. კრებულში წარმოდგენილია ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის, კიევის ი. კარპენკო-კარის სახელობის თეატრის, კინოსა და ტელევიზიის ეროვნული უნივერსიტეტის, ხარკოვის დიზანისა და ხელოვნების ეროვნული აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა და მკვლევართა ნაშრომები. კრებული დაიბეჭდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამა „ორიენტირის“



ფარგლებში. იგი განკუთვნილია სახელოვნებო მიმართულების მკვლევარებისა და სტუდენტებისათვის, ხელოვნებისა და კულტურის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის. კრებულის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბხსუ-ს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

თანამშრომლობა პარტნიორებთან

- განახლდა მემორანდუმი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.
- გაფორმდა მემორანდუმი რუმინეთის კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან;
- გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან და მელიტონ ბალანჩივადის სახელობის ხელოვნების სკოლასთან.

8. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა

- ბხსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა, ტერიტორია, შენობა-ნაგებობა, მოწყობილობები, ინვენტარი და ტექნიკური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა და სხვა კაბინეტები, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური ფასეულობანი, ფინანსური სახსრები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და სხვ. განკუთვნილია სტუდენტების და პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო, კვლევითი, შემეცნებითი, შემოქმედებითი საქმიანობისთვის. ბხსუ-ს ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, შესაძლებელია მუდმივი ინტერნეტით და ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობა. შეუზღუდავად, თანასწორ პირობებში შეუძლიათ მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით დანიშნულებისამებრ სარგებლობა სტუდენტებს, ადმინისტრაციულ, დამხმარე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს.
- აჭარის არ მთავრობის, აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანი სიახლე იყო უნივერსიტეტის სახელფასო ფონდის ზრდა.
- „ზუმის“ პაკეტი დისტანციური სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით;
- 2020 წელს, პანდემიით შექმნილი დისტანციური სწავლების პირობებშიც, ბიბლიოთეკა ახორციელებდა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის უზრუნველყოფას ელექტრონული სასწავლო რესურსითა და წიგნებით. 2020 წელს ბიბლიოთეკამ შეიძინა 6 ერთეული წიგნი, ასევე ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა 22 ერთეული წიგნი, რიდეები, CD დისკები და სხვ.
- ბხსუ-ში პლაგიატის გამოვლენის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს ანტიპლაგიატის პროგრამა „URKUND“, რომელიც ინტეგრირებულია „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017“ პლატფორმაზე. რამდენიმე წელია ამ პროგრამით მოწმდება თეორიული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების საბაკალავრო, სამაგისტრო, სამეცნიერო ნაშრომები, კვლევითი პროექტები.
- ბხსუ-ში ინტეგრირებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა. აღნიშნული პლატფორმა შეძენილია და ინერგება ეტაპობრივად უკვე მესამე წელია. სისტემაში რეგისტრირებული არიან პირველი, მეორე და მესამე კურსის სტუდენტები. 2021 წლის სექტემბერში სრულად იქნება რეგისტრირებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სტუდენტი.
- ბხსუ ჩართულია E-flow-ს სისტემაში. 2019 წელს უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ განათლების სამინისტროს საინფორმაციო ჯგუფის სპეციალისტები ტრენინგების ჩატარების მიზნით. თუმცა, 2020 წლის გაზაფხულიდან ქვეყანაში განვითარებულმა პანდემიურმა სიტუაციამ და თანამშრომლების გადასვლამ დისტანციურ რეჟიმზე, განაპირობა სერვისის ინტენსიური გამოყენების შეფერხება. სერვისის გამოყენების სრული სახით მუშაობა აღდგება პანდემიის დასრულებისა და საუნივერსიტეტო სივრცეში დაბრუნების შემდეგ.
- 2020 წელს კოვიდ-19 გამოწვეული პანდემიისაგან პრევენციის მიზნით, უნივერსიტეტმა შეიძინა სპეციალური საშუალებები: დეზობარიერი, თერმომეტრები, სადეზინფექციო ხსნარები, სანიტარიზერები, დახურული სანაგვე ყუთებით, სამუსიკო კლასებისათვის გათვალისწინებული მინის ბარიერები და სხვ. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, აუდიტორიები, სანიტარული კვანძები და სხვ. ადაპტირებულია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ რეგულაციებთან. სამინისტროს რეგულაციების დაცვით ჩატარდა შემოქმედებითი ტურები ივნისის თვეში.



ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის საქმიანობის გეგმა-ანგარიში

N	ამოცანა	შესრულების ინდიკატორი	რისკები	შენიშვნა
1	საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მომზადება აკრედიტაციისათვის	აკრედიტ. საბჭოს გადაწყვეტილება	უარყოფითი გადაწყ. მოსალოდნელი შედეგები	შესრულდა
2	საბაზო/ საშუალო საფეხურის საგნების (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებაზე მუშაობა	პროგრამა	არასაკმარისი დაფინანსება მატერიალური ბაზის შესაქმნელად	შესრულდა მუსიკ პროგრამა მომზადდა აკრედიტაციისათვის
3	გარე შეფასების მექანიზმების განვითარება	გარე შეფასების მექანიზმები	ინფორმაციის მიწოდების ხარვეზები	შესრ. მენეჯ პრ-ზე
4	ანგარიშის მომზადება ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე	ავტორიზ. საბჭოს გადაწყვეტილება		შესრულდა
5	შრომის ბაზრის კვლევა და ანალიზი	კვლევის შედეგები	ინფორმაციის მიწოდების ხარვეზები	შესრულდა
6	აკადემიური საქმიანობის რეგულარული მონიტორინგი, შედეგების ანალიზი	კვლევის შედეგები	ინფორმაციის მიწოდების ხარვეზები	შესრულდა
7	აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების, ახალგაზრდა სპეციალისტებისა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა კარიერული წინსვლისათვის გასატარებელი ღონისძიებები (სპეციალური გეგმის მიხედვით)	პარტნიორ უსდ-ებში მივლინების, სპეციალისტების მოწვევის, სემინარების მასალები	ენობრივი ბარიერი, არასაკმარისი ფინანსური რესურსები	ნაწილობრივ შესრულდა
8	კვალიფიკაციის ამაღლების ან მომზადების მოკლევადიანი სასწავლო კურსების, არჩევითი მოდულების, სემინარების, ვორქშოპების, ტრენინგების შეთავაზება და განხორციელება პერსონალის მოთხოვნისამებრ.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოკითხვების ანალიზი. ინდივიდუალური და გაერთიან.	ნაკლები დაინტერესება	ნაწილობრივ შესრულდა



		განაცხადები		
9	უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის მიზნით მოკლევადიანი სალექციო კურსების შექმნა (უცხოენოვანი)	საგანმანათ. პროგრამები, სასწავლო კურსები	ენობრივი ბარიერი.	სალექციო კურსი „მუსიკის ისტორია“ ინგლისურ ენაზე
10	ეთიკისა და ქცევის წესების დაცვის მექანიზმების შემუშავება, დახვეწა, შეფასება და ანალიზი	ნორმატიული აქტები	ინფორმაციის მიწოდების ხარვეზები	შემუშავდა
11	პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება, პლაგიატის აღმოჩენის მიზნით სპეციალურ პროგრამაში ჩართვა და სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება	ნორმატიული აქტები, შეხვედრები, სპეციალური პროგრამა	არასაკმარისი ფინანსური რესურსები, ინფორმაციის მიწოდების ხარვეზები	შესრულდა
12	პერსონალის მუშაობის შეფასების მექანიზმების განვითარება	პერსონალის შეფასების მექანიზმების ანალიზი	ინფორმაციის მიწოდების ხარვეზები	შესრულდა
13	სტუდენტების, დამსაქმებლებისა და საზოგადოების დაინტერესებული პირების ჩართვა დასაქმების ბაზრის კვლევის, პროგრამების შემუშავებისა და სასწავლო პროცესის ანალიზი-შეფასება	კვლევები, ანალიზი და შეფასება		შესრულდა
14	სწავლისა და სწავლების პროცესების კვლევა და ანალიზი. სიახლეების გაცნობა და დანერგვა. სასწავლო პრაქტიკის დაგეგმვა, შესრულება, შედეგების კვლევა და ანალიზი.	კვლევები, ანალიზი და შეფასება		შესრულდა
15	ელექტრონული დისტანციური სწავლების წესის შემუშავება, განხორციელება, მონიტორინგი	კვლევები, ანალიზი და შეფასება. ნორმატიული აქტები		შესრულდა
16	კმაყოფილების კვლევის მიზნით გამოკითხვების ჩატარება, ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების დასახვა	გამოკითხვები, ღონისძიებები	არასაკმარისი ინფორმაცია	შესრულდა



სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი